ბანკის ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული "პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების" 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ "პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებში" (შემდგომში "საერთო დებულებები") შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. **შეიცვალოს საერთო დებულებების 1.1.1. პუნქტით განსაზღვრული „Digital Wallet"-ის განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„Digital Wallet - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ინახავს კლიენტის ბარათთან ასოცირებულ თოქენს და შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორება განხორციელდეს ელექტრონული კომერციით და/ან პოს ტერმინალით. Digital Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობები. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობებისგან განსხვავებული წესი Digital Wallet-ით განხორციელებული ტრანზაქციების საკომისიოების შემთხვევაში. თუ რომელიმე შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ბარათით გადახდის შემთხვევაში დადგენილი ტარიფები, არ ვრცელდება Digital Wallet-ით ინიცირებულ გადახდებზე."

2. **შეიცვალოს საერთო დებულებების 1.1.2. პუნქტით განსაზღვრული „შევსებადი საკომისიოს" განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„შევსებადი საკომისიო - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის თითოეული ტერმინალის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ტერმინალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანაგრიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. ამასთან, თუ კლიენტის მიერ განაცხადის ხელმოწერა ან/და დადასტურება განხორციელდება პირველი თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვამდე, პირველი თვის შევსებადი საკომისიო გაიანგარიშება განაცხადის ხელმოწერის და/ან დადასტურების მომენტიდან, ხოლო თუ კლიენტის მიერ განაცხადის ხელმოწერა ან/და დადასტურება განხორციელდება პირველი თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვიდან შემდეგ, პირველი თვის შევსებადი საკომისიო გამოითვლება მომდევნო თვის პირველი (1) რიცხვიდან. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო, რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში."

3. **დებულებების მე-2 მუხლს დაემატოს 2.5 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„2.5. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არ არის/იყო განსაზღვრული უშუალოდ Digital Wallet-ით განხორციელებული ტრანზაქციის საკომისიო, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული საკომისიო შეადგენს არა პარტნიორი ბანკების ბარათებისთვის დადგენილი საკომისიოს ოდენობას."

4. წინამდებარე დოკუმენტის პირველი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 1 (ერთი) თვეში, ხოლო მე-2 პუნქტით განსაზღვრული ცვლილება ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებისთანავე.